ხელშეკრულება №82/14

ქ.თბილისი 10 ნოემბერი 2014 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 19 სექტემბრის N1693 განკარგულების საფუძველზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემის კომპანიის“ მიერ, საკუთარი შემოსავლების სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვის განხორციელების მიზნით:

ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია“, წარმოდგენილი მისი დირექტორი ლევან დვალის სახით, შემდგომში ,,შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შ.პ.ს „მაზერი“, წარმოდგენილი დირექტორის დიმიტრი სეხნიაშვილის სახით, შემდგომში ,,მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს შემსყიდველს დანართი N1-ით განსაზღვრული 40 ცალი მაგიდის კომპიუტერი (დესკტოპი) (მოხსენებითი ბარათი - 50317), შემდგომში "საქონელი" CPV-30213300 ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2. საქონლის ღირებულება

2.1. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა მიმწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 30,680 (ოცდა ათი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარს.

3. საქონლის მიღება-ჩაბარება

3.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სათანადოდ უფლებამოსილი პირი, რომელიც აფორმებს შესაბამის აქტს ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3.3. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება კომპანიის ქონებისა და მატერიალური რესურსების სამმართველოს მთავარ სპეციალისტს ალეკო კოკორაშვილს.

3.4. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და/ან წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. საქონლის მიწოდებას ხორციელდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის N6.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მხრიდან სიტყვიერი და/ან წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

5.3 მიწოდებულ საქონელზე მოქმედებს სრული გარანტია დანართში N1 მოცემული ვადების შესაბამისად.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მომსახურების ან მისი ნაწილის მიწოდების შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშფაქტურის (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დ.ღ.გ.-ს გადამხდელია) წარდგენის საფუძველზე.

6.2 ანგარიშწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. უფლებების გადაცემა

8.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების

მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1.ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
10.2.წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის დარღვევის გამო, მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლო შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის გამო, შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.4.იმ შემთხვევაში თუ, მიმწოდებლისთვის წინამდებარე ხელშეკრულების 10.2. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამი შეადგენს სახელშეკრულებო ღირებულების 3 %-ს შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება:
11.1.1.თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;
11.1.2 თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
11.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
11.3.1.თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.3.2. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
11.3.3.საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

12.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ საქონლის მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს საქონელი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი: კომპანიის ქონებისა და მატერიალური რესურსების სამმართველოს მთავარ სპეციალისტი ალეკო კოკორაშვილი.
(შემდგომში „ინსპექტირების განმახორციელებელი პირი").

12.2. ინსპექტირების განმახორციელებელი პირის ფუნქციებია:

12.2.1. გაუწიოს კონტროლი საქონლის მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

12.2.2. დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული საქონელი ხელშეკრულების მოთხოვნებს.

12.2.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის მიღება.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია სამ ეგზემპლარად რომლებიც ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

მხარეთა იურიდიული მისამართები და საბანკო რეკვიზიტები

„შემსყიდველი“
შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია”
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568
მისამართი ქ. თბილისი ,მარშალ გელოვანის გამზირი N6
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100

„მიმწოდებელი“
შ.პ.ს ,,მაზერი“
საიდენტიფიკაციო კოდი 205263132
მისამართი ქ.თბილისი, ქ. წამებულის გამზ. N15/17
ს/ს ,,თი-ბი-სი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE44TB1196336020100010

დირექტორი: ლევან დვალი

დირექტორი: დიმიტრი სეხნიაშვილი

2014 წლის 10 ნოემბერი
N80/14 ხელშეკრულების
დანართი N1

კომპიუტერი კომპლექტში	სავალდებულო მოთხოვნები	ტექნიკური მახასიათებლები	შემოთავაზებული საქონლის მოდელი და ძირითადი ტექნიკური მახასიათებლები		რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთ.ღირ.
	მწარმოებელი ქვეყანა მონიტორი: (მწარმოებელი ,მოდელი)		**ჩინეთი Lenovo E2223S**				
	ტიპი	21,5" Widescreen უკანა LED განათებით უკეთესი	Display Size	21.5 inch/54.6 cm			
	ფორმატი	16:9	Aspect Ratio	16:9			
	რეაგირების დრო	მაქსიმუმ 5 მილიწამი	Response Time	5ms(Typical)			
	მატრიცის ტიპი	TN	Display type	TN			
	გარჩევადობა	1920x1080	Resolution	1920 x 1080			
სისტემური ბლოკი Lenovo-IDEACENTRE H535,მონიტორი Lenovo LI2241 ,Keyboard,Mouse	კონტრასტულობა	დინამიური 3 000 000:1 ან უკეთესი	Contrast Ratio	Contrast ratio (typical): 600:1; SmartContrast: 10,000,000:1	40	767	30680
	სიკაშკაშე	250 ცდ/მ2	Brightness	200 cd/m²			
	უკანა განათების სამუშაო ციკლი	30 000 საათი	Becklight life time:	30 000 Hours			
	ხედვის კუთხე	170° ჰორიზონტალი ან მეტი 160° ვერტიკალი ან მეტი	Viewing Angle(H/V)	90°/50°			
	უნდა გააჩნდეს Plug and Play ტექნოლოგიის მხარდაჭერა		Plug and Play	YES			
	დახრის კუთხე	არაუმეტეს –5, არანაკლებ +15გრადუსი	Tilt angles of the monitor	Tilt: -5/20 degree			

ვიდეო პორტები	DVI, VGA	Interface	Signal Input: VGA, DVI
მონიტორს უნდა მოყვებოდეს შესაბამისი კვების კაბელი და ვიდეო კაბელები	DVI და VGA	Box including	VGA And DVI Cables
სისტემური ბლოკი: (მწარმოებელი, მოდელი, მწარმოებელი ქვეყანა)		**ჩინეთი Lenovo-IDEACENTRE Lenovo H535**	
<u>პროცესორი :</u>		**AMD Quad-Core A8-Series APU A8-5500 with Radeon HD 7560D number of cores 4 GPU Core Speed * 760 MHz number of threads 4 Frequency 3200 MHz Turbo frequency 3700 MHz Virtualization Technology Support YES**	
ბირთვების რაოდენობა:	არანაკლებ 4(ოთხი)		
GPU ტაქტური სიხშირე:	არანაკლებ 760MHz		
ნაკადების რაოდენობა	არანაკლებ 4 (ოთხი)		
L2 „ქეში“	არანაკლებ 4 მეგაბაიტი		
ტაქტური სიხშირე	არანაკლებ 3.20 GHz (ხოლო Turbo რეჟიმში არანაკლებ 3,7GHz)		
უნდა გააჩნდეს ვირტუალიზაციის მხარდაჭერა			
<u>დედაპლატა</u>		**Socket Type**	**FM2**
ჩაშენებული ვიდეო პლატა	DX10-ის ან DX11-ის მხარდაჭერით	**Graphics on board**	**DX11 Support**
მყარი დისკის კონტროლერი	SATA, არანაკლებ 3 ინტერფეისისა	**Num.of internal SATA header**	3
ჩაშენებული ქსელის ადაპტერი	RJ-45 10/100/1000	**Lan port**	RJ-10/100/1000
გაფართოების სლოტები	DIMM სლოტი (Dual Channel-ის მხარდაჭერით) - 2 ცალი ან მეტი;	**DIMM slots Dual memory channel**	**2DIMM slots**
	PCI-E 16x - 1 ცალი ან მეტი;	**Num of PCI-E*16 slot**	1

	PCI-E 1x - 1 ცალი ან მეტი	**Num.of PCI-E*1slot**	**1**			
პორტები	USB 2.0 ან უკეთესი: 6-ცალი ან მეტი, აქედან მინიმუმ 2 სისტემური ბლოკის წინა პანელზე და მინიმუმ 4 უკანა პანელზე	**USB Ports**	**2 xUSB2.0(rear) 2xUSB3.0 (rear) 2xUSB2.0 (front)**			
გრაფიკული ინტერფეისები	ერთი DVI-D ინტერფეისი და ერთი VGA ინტერფეისი	**Rear Graphics port**	**VGA,DVI-D Support**			
ოპერატიული მეხსიერება	მოცულობა: არანაკლებ 4096მბ; ტიპი:DDR3 1333MHz) ან უკეთესი	**Base**	**4GB (DDR3 1333MHz),**			
მყარი დისკი	მოცულობა: არანაკლებ 500გბ; ბრუნვის სიჩქარე: არანაკლებ 7200rpm; ინტერფეისის ტიპი: SATA 6Gb/s, მეორე მყარი დისკის მონტაჟის შესაძლებლობით	**Capacity**	**SATA 6Gb/s, 500GB, 7200rpm,**			
DVD/CD წამკითხველი (DVD/CDRom)	სავალდებულო არაა. სისტემურ ბლოკს უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 DVD- წამკითხველისთვის განკუთვნილი თავისუფალი ადგილი.	**Optical Disk Drive**	**NO**			
კლავიატურა:(მწარმოებელი, მოდელი, მწარმოებელი ქვეყანა)	სტანდარტული, მინიმუმ 104 კლავიშიანი, USB	**Keyboard**	**Lenovo Preferred Pro USB Keyboard ჩინეთი**			

	მაუსი (მწარმოებელი, მოდელი, მწარმოებელი ქვეყანა)	ოპტიკურიUSB(scroll-ის უნქციით)	Mouse	Lenovo USB Optical Wheel Mouse ჩინეთი			
	ოპერაციული სისტემა	Free OS	Operating System	Free Dos			
							30,680

შემოთავაზებულ ტექნიკაზე ვრცელდება 3 წლიანი საგარანტიო მომსახურება, დაზიანების შემთხვევაში ტექნიკა შეკეთდება ან შეიცვლება 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული	შ.პ.ს „მაზერი“
სამელიორაციო სისტემების კომპანია”	
დირექტორი: ლევან დვალი	დირექტორი: დიმიტრი სეხნიაშვილი

მიღება-ჩაბარების

აქტი

ქ. თბილისი 10.11 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი, შ.პ.ს. ,,საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია" შემდგომში ,,შემსყიდველი", წარმოდგენილი კომპანიის ქონებისა და მატერიალური რესურსების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი ალეკო კოკორაშვილის სახით და შპს „მაზერი" შემდგომში „მიმწოდებელი", შევადგინეთ წინამდებარე აქტი მასზედ, რომ 10.11.2014 წლის N82/14 ხელშეკრულების თანახმად ,,მიმწოდებელმა" მიაწოდა, ხოლო ,,შემსყიდველმა" მიიღო დანართი N1-ით განსაზღვრული 40 ცალი მაგიდის კომპიუტერი (დესკტოპი) (მოხსენებითი ბარათი შიდა-50317), შემდგომში "საქონელი" CPV-30213300 სულ მოწოდებული საქონლის ღირებულება შეადგენს 30,680 (ოცდა ათი ათას ექვსას ოთხმოცი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით.

მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს უნაღდო ანგარიშწორების საფუძველს.

აქტი ჩვენს მიერ არის შედგენილი, სწორია, რაზედაც ხელს ვაწერთ:

„შემსყიდველი"
შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული
სამელიორაციო სისტემების კომპანია"

ალეკო კოკორაშვილი

„მიმწოდებელი"
შ.პ.ს „მაზერი"